საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

3969-01-01-10-2-202405161249

N 01-01-10/3969
16/05/2024

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

ასლი: შპს „ლიდერი 2025“-ის (ს/ნ 404 701 453) დირექტორს
ბატონ, გურამ ბერსელაძეს
მის: ქ.თბილისი, სოფ. ტაბახმელა
მობ: 593 26 25 15

გაცნობებთ, რომ შპს „ლიდერი 2025“ -ის 2023 წლის 22 ნოემბრის და 06 დეკემბრის განცხადებების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკის მიმდებარედ ანდეზიტო-ბაზალტის გამოვლინებაზე აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ მომზადებული და 2024 წლის 26 აპრილის წერილით სამინისტროსათვის მოწოდებული იქნა შესაბამისი გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომლის თანახმადაც ირკვევა შემდეგი:

- სალიცენზიო ობიექტი, (ანდეზიტო-ბაზალტი“-ს გამოვლინების მე-2 უბანი) რომლის ფართობია 52 629 $მ^2$ მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვრიკეს მიმდებარედ, მდინარე „კინკიშა“-ს მარცხენა მხარეს, 30-35“ დახრილობის ფერდზე, მდინარე „კინკიშა“-ს კალაპოტიდან 305 მეტრში.
- ობიექტი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.
- ობიექტი სოფელ კვირიკედან დაშორებულია 2 100 მ-ით.
- ტერიტორიაზე არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში აღნიშნული ხე-მცენარეები,
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს თანახმად მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 5 ჰექტარზე მეტია სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართი №2).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ შპს „ლიდერი 2025“-ის სკრინინგის განცხადებას, სასარგებლო წიაღისეულის (ანდეზიტო-ბაზალტი) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი „6“ ფურცელი და SHP ფაილი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.

https://edocument.ge/AdjaraGov/public3969-01-01-10-2-202405161249